მეხუთე კლასი - ფინალური ტესტის მიმოხილვა

მშობლიური, ქართული ენის ფინალის ტესტი **100 ქულიანია.** ტესტში ჯამურად დაგხვდებათ **30 საკითხი (შეკითხვა). ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან:**

🔷 წაკითხული ტექსტის გააზრება (40 ქულა)
🔷 გრამატიკული და ლექსიკური დავალებები (60 ქულა)

ტესტის **ყველა შეკითხვა არჩევითპასუხიანი, დახურული ტიპისაა**. თითოეულ შეკითხვას აქვს სამი სავარაუდო პასუხი: ა, ბ ან გ, რომელთაგანაც მოსწავლეს ერთი სწორი პასუხის შერჩევა ევალება.

ნაწილი #1 - წაკითხული ტექსტის გააზრება

ტესტის ამ ნაწილში 10 შეკითხვაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 4 ქულით. შესაბამისად, ამ ნაწილის ჯამური ქულაა 40.

აღნიშნული სავარჯიშოს შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს **მცირე ზომის, კლასის შესაბამისი** ტექსტის წაკითხვა და გააზრება. **შეკითხვები შეეხება:**

- პერსონაჟების თვისებებს,
- ტექსტში მოცემულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას,
- ტექსტის მთავარი სათქმელის/იდეის გააზრებას;

მოსწავლეს უნდა შეეძლოს ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, როგორებიცაა: რითი ჰგვანან პერსონაჟები ერთმანეთს? რატომ წუხს მთავარი გმირი? რატომ მიიღო პერსონაჟმა ასეთი გადაწყვეტილება?

ნაწილი #2 - გრამატიკული და ლექსიკური დავალებები

ტესტის მეორე ნაწილი შეეხება გრამატიკულ და ლექსიკურ საკითხებს. ტესტის ამ ნაწილში 20 დავალებაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 3 ქულით, შესაბამისად ამ ნაწილის ჯამური ქულაა 60.

მოსწავლემ უნდა გამოავლინოს ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით. ესენი გახლავთ:

- ნაცვალსახელები,
- ზედსართავი სახელები,
- ზმნიზედა,
- რიცხვითი სახელი,
- ზმნა და ზმნის დრო,
- არსებითი სახელი,
- მათთან დაკავშრებული მართლწერის წესები, ბრუნვა,
- მხატვრული ხერხები

ასევე, მოსწავლე უნდა იაზრებდეს კლასის შესაბამის ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებს.

საკითხების მაგალითები:

რომელ ბრუნვაშია სიტყვა „კაცნო“?

ა) სახელობითში
ბ) მოთხრობითში
გ)წოდებითში

რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებაში?

,,ხავერდივით მწვანე ბალახს აბიბინებს სიო''.

ა) შედარება
ბ) ეპითეტი
გ) გაპიროვნება

შეგახსენებთ, ფინალური ტური 4 მაისს ჩატარდება. ფინალთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის ნახვა ამ ბმულზეა შესაძლებელი: https://www.kings.ge/news/1321

კინგსის გუნდი გისურვებთ წარმატებულ ასპარეზობას!